სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 413

(ოქმი № 377)

თბილისი 2018 წლის 16 აპრილი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულებაში
დამატების შეტანის შესახებ

1. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2008 წლის 28 ივლისის №108 (ოქმი №68) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი დამატება:

ა) დებულების მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.2.2. ქვეპუნქტი:

"4.2.2. საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების, სტრატეგიის (სამაუწყებლო პოლიტიკის), ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის მიღების პროცესი განისაზღვრება წინამდებარე დებულების შესაბამისი დანართით განსაზღვრული წესით."

2. დამტკიცდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების, სტრატეგიის (სამაუწყებლო პოლიტიკის), ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის მიღების პროცესი თანდართული სახით.

დანართი:
1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსური რესურსების მართვა, განკარგვა და კონტროლი;
2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ძირითადი შიდა ნორმატიული დოკუმენტები, მათი შექმნის ვადები, მექანიზმები და შესრულების კონტროლი.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი

ირინა ფუტკარაძე

ირაკლი პაპავა

გიორგი ნიჟარაძე

გიორგი იაკობაშვილი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური რესურსების მართვა, განკარგვა და კონტროლი

შესავალი

სტრატეგიული ამოცანების, პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმების ასახვა ფინანსური მაჩვენებლებით

- მოკლევადიანი (ერთწლიანი) ბიუჯეტი
- გრძელვადიანი (სამწლიანი) ბიუჯეტი

მაუწყებლის ფინანსური საქმიანობის შეფასება

ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვიანობის კონტროლი

დანართები

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური რესურსების მართვის, განკარგვისა და კონტროლის სახელმძღვანელოს. ის მოიცავს სამ ძირითად მიზანს: 1. ორგანიზაციის სამომავლო სტრატეგიული ამოცანების, პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმების გამოსახვას ფინანსური მაჩვენებლებით; 2. მაუწყებლის ფინანსური საქმიანობის შეფასებას; 3. ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვიანობის კონტროლს.

სამომავლო სტრატეგიულ ამოცანებს, პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმებს საზოგადოებრივი მაუწყებელი ასახავს მოკლევადიანი (ერთწლიან) და გრძელვადიანი (სამწლიან) საბიუჯეტო პაკეტებით. მოკლევადიან საბიუჯეტო პაკეტში მაუწყებლის ფინანსური მაჩვენებლები დალაგებულია თვეების, ხოლო გრძელვადიან საბიუჯეტო პაკეტში - წლების მიხედვით. გრძელვადიან და მოკლევადიან ბიუჯეტებში შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები მოცემულია სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, რაც მიზნად ისახავს პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის ასახვას ფინანსური მაჩვენებლებით.

მაუწყებლის ფინანსური საქმიანობის შეფასება შესაძლებელია ყოველკვარტალური და ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების საშუალებით. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფაქტიური ხარჯების შედარებას ბიუჯეტთან, კომერციული შემოსავლების ანალიზს, შექმნილი პროდუქციის თვითღირებულების ანალიზს, სახელფასო ხარჯების ანალიზს, პრიორიტეტების მიხედვით ხარჯების ანალიზს, საინვესტიციო ხარჯების ანალიზს. კვარტალური და წლიური ანგარიშგების ნაწილს შეადგენს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე შედის ანალიზი ე.წ. „**ფასეულობა დანახარჯებთან მიმართებაში“,** რომლის მიზანია წარმოაჩინოს კავშირი დანახარჯებსა და მაუწყებლის მიერ მიღწეულ შედეგებს შორის.

ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვიანობის კონტროლს ახორციელებენ მაუწყებლის შიდა აუდიტი და დამოუკიდებელი გარე აუდიტორული კომპანია. გარე აუდიტი ყოველწლიურად ტარდება სამი მიმართულებით - ფინანსური აღრიცხვის აუდიტი, საგადასახადო აუდიტი და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი.

სტრატეგიული ამოცანების, პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმების ასახვა ფინანსური მაჩვენებლებით

სამომავლო სტრატეგიულ ამოცანებს, პრიორიტეტებსა და სამოქმედო გეგმებს საზოგადოებრივი მაუწყებელი ასახავს მოკლევადიან (ერთწლიან) და გრძელვადიან (სამწლიან) ბიუჯეტებში. მოცემულ ეტაპზე, მაუწყებლის გრძელვადიანი და მოკლევადიანი ბიუჯეტები ფორმირდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი და მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობით შემოსაული სახსრებით. შემოსავლების ორივე წყარო რეგულირდება საქართველოს კანონით მაუწყებლის შესახებ. მაუწყებლის ბიუჯეტის შემოსავლები შესაძლებელია შეივსოს საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული თანხებით (სასესხო ვალდებულების გაზრდით).

მოკლევადიანი (ერთწლიანი) ბიუჯეტი

მოკლევადიანი (ერთწლიანი) ბიუჯეტი ფინანსური მაჩვენებლებით გამოსახავს საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალი წლის პრიორიტეტებს და სამოქმედო გეგმას. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი, მაუწყებლის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმასთან ერთად, ბიუჯეტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭო განიხილავს, შეაქვს შესწორებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამტკიცებს ბიუჯეტს.

მოკლევადიანი ბიუჯეტი მოიცავს შვიდ დოკუმენტს, რითაც იქმნება სრული საბიუჯეტო პაკეტი. ეს დოკუმენტებია: 1. საზოგადოებრივი მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის პროექტი (დასამტკიცებელი ფორმა); 2. წლიური ბიუჯეტის პროექტი ჩაშლილი ბლოკების ხარჯების მიხედვით; 3. წლიური ბიუჯეტი პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით; 4. წლიური ბიუჯეტი გადაცემების წუთობრივი საპროგნოზო თვითღირებულების მიხედვით; 5. სახელფასო ბიუჯეტი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით; 6. წლიური ბიუჯეტი სამაუწყებლო პლატფორმების ხარჯების მიხედვით; 7. წლიური საპროგნოზო კომერციული შემოსავლები შემოსავლების კატეგორიების მიხედვით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის პროექტი (დასამტკიცებელი ფორმა). დოკუმენტში წარმოდგენილია სახაზინო და კომერციული ხარჯები მაუწყებლის სტრუქტურული დანაყოფების მიხედვით (იხილეთ დანართი#1).

წლიური ბიუჯეტის პროექტი - ჩაშლილი ბლოკების ხარჯების მიხედვით. დოკუმენტში ნაჩვენებია თითოეული ბლოკის დანახარჯები კატეგორიების მიხედვით. ის გვაძლევს ინფორმაციას ადმინისტრაციული, გადაცემების პირდაპირი ხელფასის, შემენილი პროდუქციისა და მომსახურების, მაუწყებლობის ტექნიკური უზრუნველყოფის, გადასახადების ხარჯების შესახებ. დოკუმენტში ნაჩვენებია, თუ რომელი წყაროთი ფინანსდება კონკრეტული ხარჯი (ხაზინა, ბანკი). მონაცემები წარმოდგენილია თვეების მიხედვით (იხილეთ დანართი#2).

წლიური ბიუჯეტი პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით. ბიუჯეტის ამ ნაწილში ხარჯები ნაჩვენებია გადაცემების მიხედვით. თითოეული გადაცემის ხარჯი ოთხ კატეგორიად იყოფა: პირდაპირი ხარჯი (მაგალითად ხელფასი), ირიბი ხარჯი (მაგალითად ოპერატორის ხელფასის წილი), ზედნადები საოპერაციო ხარჯი (მაგალითად ადმინისტრაციული ხარჯის წილი) და ზედნადები საინვესტიციო ხარჯი. ხარჯვის ყველა კატეგორია გაიანგარიშება დარიცხვის მეთოდით. დოკუმენტში გადაცემები დალაგებულია პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით და მათი ჯამის საშუალებით ვიგებთ თუ რა თანხების გამოყოფა იგეგმება პრიორიტეტების მიმართულებით (იხილეთ დანართი#3).

დაგეგმილ გადაცემებს ნარატიული ტექსტის სახით ახლავს საბოლოო შედეგის ინდიკატორები.

წლიური ბიუჯეტი გადაცემების წუთობრივი საპროგნოზო თვითღირებულების მიხედვით. დოკუმენტში მოცემულია მაუწყებლის საპროგნოზო ერთი წუთის ღირებულება გადაცემების მიხედვით. მაჩვენებლები მიიღება გადაცემების ხარჯების შეფარდებით მათსავე დაგეგმილ ქრონომეტრაჟთან (იხილეთ დანართი#4).

სახელფასო ბიუჯეტი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით. ამ მაჩვენებლის მიზანია სახელფასო დანახარჯის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება. მისი საშუალებით შეგვიძლია გავიგოთ ხელფასების დაგეგმილი ცვლილება წინა პერიოდებთან შედარებით (იხილეთ დანართი#5).

წლიური ბიუჯეტი სამაუწყებლო პლატფორმების ხარჯების მიხედვით. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს მაუწყებლის ხარჯებს სამაუწყებლო პლატფორმების მიხედვით. მისი საშუალებით შეიძლება გავიგოთ თუ რა თანხები დაიხარჯება სატელევიზიო, ინტერნეტ და რადიო პლატფორმებზე. დოკუმენტში ხარჯები დალაგებულია სამაუწყებლო პლატფორმების მიხედვით. თითოეული პლატფორმის ხარჯი ოთხ კატეგორიად იყოფა: პირდაპირი ხარჯი, ირიბი ხარჯი, ზედნადები საოპერაციო ხარჯი და ზედნადები საინვესტიციო ხარჯი. ხარჯების ყველაკატეგორია დარიცხვის მეთოდით დაიანგარიშება. მონაცემები წარმოდგენილია თვეების მიხედვით (იხილეთ დანართი#6).

საპროგნოზო კომერციული შემოსავლები. დოკუმენტში წარმოდგენილია კომერციული შემოსავლები კატეგორიების მიხედვით. დოკუმენტს თან ახლავს განმარტებითი ბარათი შემოსავლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ. მონაცემები წარმოდგენილია თვეების მიხედვით (იხილეთ დანართი#7).

იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ფაქტიურ გარემოებათა ცვლილებებს, შესაძლებელია მოკლევადიანი ბიუჯეტის კორექტირება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. გენერალური დირექტორი კორექტირებული ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დამტკიცემაბდე არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე, გარდა აუცილებელი შემთხვევებისა (რაზეც სამეურვეო საბჭო და მენეჯმენტი ერთობლივად შეთანხმდებიან), როდესაც საჭიროა აღნიშნულ ვადაზე უფრო მოკლე პერიოდში ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების შეტანა. კორექტირებული ბიუჯეტის პროექტს თან ახლავს განმარტებითი ბარათი, სადაც დეტალურად არის დასაბუთებული კორექტირების მიზეზები.

გრძელვადიანი (სამწლიანი) ბიუჯეტი

გრძელვადიანი (სამწლიანი) ბიუჯეტი ფინანსური მაჩვენებლებით გამოსახავს საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალი სამი წლის პრიორიტეტულ მიმართულებას. სამწლიანი პრიორიტეტის მიღებიდან არაუგვიანეს ორი თვის ვადაში საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი სამწლიან საბიუჯეტო პაკეტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

გრძელვადიანი ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი წარმოდგენილია წლების მიხედვით და მოიცავს სახლმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი, მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მომავალი სამი წლის განმავლობაში მისაღები და ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდული (საჭიროების შემთხვევაში) თანხების საპროგნოზო მაჩვენებლებს. ხარჯვითი ნაწილი მოცემულია წლების მიხედვით და მოიცავს ორ კატეგორიას: **საოპერაციო ხარჯებს** და **ხარჯებს პროექტების მიხედვით (პროექტული ბიუჯეტი)**.

საოპერაციო ხარჯებში შედის: სამეურვეო საბჭოს, გენერალური დირექტორის აპარატისა და დაქვემდებარებული სამსახურების, ადმინისტრაციისა და ფინანსების ბლოკის, მაუწყებლის ეთერში გასვლისათვის აუცილებელი ხარჯები.

პროექტული ბიუჯეტი შესაბამისობაში მოდის მაუწყებლის სამწლიან სტრატეგიასთნ. პროექტული ბიუჯეტირების დროს, შედეგის მისაღწევად აუცილებელ ხარჯებთან ერთად დაგეგმილია შედეგის საზომი ინდიკატორები. ინდიკატორები დაჯგუფებულია შემდეგ კატეგორიებად:

1. წვდომის საზომი ინდიკატორები;
2. ხარისხის საზომი ინდიკატორები;
3. ზეგავლენის საზომი ინდიკატორები.

სასესხო ვალდებულების აღების საჭიროების შემთხვევაში, გრძელვადიან ბიუჯეტს ახლავს განმარტება სესხის დაფარვის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ფაქტიურ გარემოებათა ცვლილებებს, შესაძლებელია გრძელვადიანი ბიუჯეტის კორექტირება. გენერალური დირექტორი კორექტირებული ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წლიურ ანგარიშგებასთან ერთად. კორექტირებული ბიუჯეტის პროექტს თან ახლავს განმარტებითი ბარათი, სადაც დეტალურად არის დასაბუთებული კორექტირების მიზეზები.

მაუწყებლის ფინანსური საქმიანობის შეფასება

მაუწყებლის ფინანსური საქმიანობის შეფასება ხდება ყოველკვარტალური და ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების საშუალებით. საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური სამსახური ყოველი კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში ამზადებს კვარტალურ ანგარიშებს ნაზარდი ჯამით, ხოლო საანგარიშო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს. წლიური ანგარიში პირველ მარტამდე წარედგინება მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად.

კვარტალური და წლიური ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას წლიური ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების, შექმნილი და შესყიდული პროდუქციის თვითღირებულების, წუთობრივი დანახარჯების, სახელფასო ხარჯების, პრიორიტეტების მიხედვით ხარჯებისა და საინვესტიციო ხარჯების შესახებ.

კვარტალურ და წლიურ ანგარიშებში შესაბამისი პერიოდის ფაქტიური მაჩვენებლები დარდება გეგმიურ მაჩვენებლებთან. დოკუმენტს თან ახლავს განმარტებები, სადაც ახსნილია გეგმიურ და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავებების მიზეზები.

ანგარიში ასევე მოიცავს ინფორმაციას საწყის და საბოლოო პერიოდებში საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების და საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებების/დავალიანებების (მათ შორის სასესხო) შესახებ.

შექმნილი და შესყიდული პროდუქციის თვითღირებულებები, მსგავსად საპროგნოზო მაჩვენებლისა, იყოფა ოთხ კატეგორიად - პირდაპირი ხარჯი, ირიბი ხარჯი, ზედნადები საოპერაციო ხარჯი და ზედნადები საინვესტიციო ხარჯი. ხარჯვის ყველა კატეგორია გაიანგარიშება დარიცხვის მეთოდით. გადაცემის წუთობრივი გაანგარიშების დროს კალკულაციაში ერთვება გადაცემების ქრონომეტრაჟის ცვლადი.

გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებაში ასევე შედის ინფორმაცია განხორციელებული შესყიდვების შესახებ. დოკუმენტის ეს ნაწილი მოიცავს ელექტრონული და გამარტივებული ტენდერებით შეძენილი საქონლისა და მომსახურების მაჩვენებლებს. დოკუმენტში ასევე, წარმოდგენილია იმ კომპანიათა სია, რომლებთანაც განხორციელდა შესყიდვები საანგარიშო პერიოდში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე შედის ე.წ. „**ფასეულობა დანახარჯებთან მიმართებაში**“ ანალიზი. ეს ანალიზი წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს. ამ კრიტერიუმის მიზანია წარმოაჩინოს კავშირი დანახარჯებსა და მაუწყებლის მიერ მიღწეულ შედეგებს შორის. ამ მიდგომის გამოყენებით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რამდენად ემსახურება დანახარჯები მაუწყებლის წინაშე დასმულ მიზნებს, ამოცანებსა და ვალდებულებებს. „ფასეულობა დანახარჯებთან მიმართებაში“

დაფუძნებულია ე.წ. 3ე-ს პრინციპზე - ეკონომიურობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა. მისი სტრუქტურა სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება.



ეკონომიურობაში იგულისხმება დანახარჯების შესაბამისობა მის ფასთან და ხარისხთან. **ეფექტურობა** განსაზღვრავს, თუ რამდენად კარგად (გამართული პროცესებით) შეიქმნა საბოლოო პროდუქტი. **ეფექტიანობა** გვიჩვენებს, თუ რამდენად კარგად უპასუხა შექმნილმა პროდუქტმა სასურველ შედეგს, რომელიც განსაზღვრულია სტრატეგიით ან ყოველწლიური სამოქმედო გეგმით. სამივე კომპონენტის ერთობლიობა ასახავს **ეფექტიან ხარჯვას**. გარდა იმისა, რომ „ფასეულობა დანახარჯებთან მიმართებაში“ ზომავს დანახარჯების ეფექტურობას, მისი გამოყენებით ფასდება მაუწყებლის საქმიანობის სხვადასხვა ეტაპებზე არსებული უპირატესობები და სისუსტეები. არსებული შეფასებები ეფუძნება ჩატარებულ თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევებს.

ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვიანობის კონტროლი ხორციელდება შიდა და გარე აუდიტის საშუალებით. მაუწყებლის აუდიტორს ნიშნავს გენერალური დირექტორი კონკურსის წესით, რომელიც რეგულარულად ატარებს მაუწყებლის შიდა აუდიტს. მაუწყებლის აუდიტორი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის წინაშე.

მაუწყებლის საქმიანობის გარე აუდიტს ახორციელებს სამეურვეო საბჭოს მიერ კონკურსის წესით გამარჯვებული საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა. დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია მაუწყებლის აუდიტს ახორციელებს სამი მიმართულებით - ფინანსური აღრიცხვის აუდიტს, საგადასახადო აუდიტს და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტს. გამჭვირვალეობის პრინციპიდან გამომდინარე შიდა და გარე აუდიტის დასკვნები ქვეყნდება მაუწყებლის ვებ-გვერდის საშუალებით.

დანართები

დანართი#1

საზოგადოებრივი მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის პროექტი (დასამტკიცებელი ფორმა)

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ------- წლის ბიუჯეტის პროექტი			
პერიოდი: ----------			
ვალუტა: ლარი	**ხაზინა**	**ბანკი**	**სულ**
	-	-	-
სამეურვეო საბჭო			
მონიტორინგის სამსახური			
ახალი და მიმდინარე ამბები			
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი			
მედიაწარმოების ბლოკი			
წარმოებისა და ტექ.უზრუნველყოფის ბლოკი			
ადმინისტრაციის და ფინანსების ბლოკი			
სხვა გადასახდელები			
მთლიანი ბიუჯეტი:	-	-	-

დანართი#2

წლიური ბიუჯეტის პროექტი - ჩაშლილი ბლოკების ხარჯების მიხედვით

	თვე		**სულ ჯამი**
	ხაზინა	ბანკი	
სამეურვეო საბჭო			
ჰონორარები			
სხვა ხარჯი			
აპარატის ხელფასი			
მივლინება			
საკონსულტაციო ხარჯი			
შესყიდვები			
გენ. დირექტორის აპარატი და დაქვ-ლი სამსახურები			
გენერალური დირექტორის აპარატი			
სტრატეგიული განვითარების ცენტრი			
ადამიანური რესურსები მართვის სამს			
იურიდიული სამს			
არქივი			
მივლინება			
წარმომადგენლობითი ხარჯი			
სხვა ხარჯები			

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი			
შრომის ანაზღაურება			
მივლინება			
შესყიდვება			
ახალი ამბები			
შრომის ანაზღაურება			
ცენტრალური მართვის აპარატი *რადარული მართვის აპარატი* *წარმოების და ტექ.უზრუნველყოფის ჯგ.მოამზე* *სოციალური მედიის ჯგ* *პოლიტიკის მიმართულების ჯგ* *საერთაშორისო მოვლენების მიმართ. ჯგ* *სოც. მოვლენების მიმართ. ჯგ* *კრიმინალის და სამართლის მიმართ ჯგ* *ეკონომიკის მიმართ. ჯგ* *კულტურის მიმართ ჯგ* *სპორტული მიმართ ჯგ* *მულტიფუნქციური კორესპოდენტების ჯგ* *ტელეპროდუქციის წარმ. ჯგ* *რეგიონული ამბების ჯგ* *რადიო წარმოების ჯგ* *ონლაინ მედია პროდუქციის წარმ ჯგ* *ონლაინ მედია ნაც ჯგ* *რადიო პროდუქციის წარმოები ჯგუფი*			
მივლინება			
სიგნალის გადმოგორება			
უცხოური საინფორმაციო სააგენტოები			
შესყიდვები			
ეგზითპოლები			
სპეციალური სიუჯეტის მომზ. **გადაცემები**			
შრ.ანაზღაურება			
მივლინება			
შესყიდვები			
ანალიტიკური სამსახური			
შრ.ანაზღაურება			
ჰონორარი			
შესყიდვები			
ანალიტიკური ჟურნალის გამოცემა			
სპორტული მიმართულება			
მივლინება			
სიგნალის გადმოგორება			

ჩემპიონთა ლიგა			
მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში			
ერონული ჩემპიონატი/ნაკრების თამაშები			
კალათბურთის მსოფლიო ჩემპიონატი და საკვალიფიკაციო			
წყალბურთი ევროპის ჩემპიონატი			
ჭიდაობა/ძიუდო			
რაგბი			
წყალბურთი			
SNTV (Sport News Reporting Licence)			
სხვა სპორტული ღონისძიებები			
ლიცენზიები			
სპორტული გადაცემების ხარჯები			
სპორტი 360			
სპორტის დაფა			
სპორტის სხვადასხვა ხარჯები			
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი			
შრ.ანაზღაურება			
დირექტორის აპარატი *ტელე-რადიო პროდუქციის დაგეგმვისა და პროგრამირების ჯგუფი* *ონლაინ მედიის სამსახური* *სოციალური მედიის ჯგ* *ვებ დეველოპმენტის ჯგ* *ტექნ. უზრუნველყოფის ჯგ* *მზა პროდუქციის შერჩევის ჯგ* *თარგმნა გახმოვანების ჯგ* *მარკეტინგის სამსახური* *მარკეტინგის ჯგ* *კვლევის და ანალიტიკის ჯგ* *ვიზუალური გაფორემების ჯგ*			
მივლინება			
შესყიდვები			
მექანიკური პროდუქცია			
სერიალი			
კინო			
დოკუმენტური ფილმები			
ანიმაცია			

მუსიკალური პროდუქცია			
ქართული ფილმები			
მარკეტინგი			
ონლაინ მედია			
ონლაინ მედიის სხვადასხვა შესყიდვები			
სოციალური მედიის კამპანიები			
ახალი მულტიმედიური პლატფორმები			
ევროვიზია			
შრომის ანაზღაურება			
მივლინება			
შესყიდვები			
საბავშვო ევროვიზია			
შრომის ანაზღაურება			
მივლინება			
შესყიდვები			
მედიაწარმოების ბლოკი			
შრომის ანაზღაურება			
დირექტორის აპარატი *პროექტების განვითარების სამს* *შერჩევა მონიტორინგის სამსახური* *პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის ჯგ*			
მივლინება			
შესყიდვები			
სატელევიზიო გადაცემები			
გადაცემა1			
შრომის ანაზღაურება			
მივლინება			
შესყიდვები			
ფილმები			
ფილმი1			
შრომის ანაზღაურება			
მივლინება			
შესყიდვები			
რადიო გადაცემები			
შრომის ანაზღაურება			
მივლინება			
შესყიდვები			
წარმოებისა და ტექ. უზრუნველყოფის ბლოკი			

შრომის ანაზღაურება				
დირექტორის აპარატი *გავრცელების უზრუნველყოფის სამს* *საერთაშორის ჩართვების ჯგ* *შიდა და გარე სიგნალების მომსახურე ჯგ* *მონიტორინგის სამსახური* *ინფორმაციული ტექნ. სამს* *ტექნიკური უზრუნველყოფის სამს* *დაგეგმარების ჯგ* *მოძრავი სატელევიზიო სადგურის ჯგ* *კამერების პარკი* *სარემონტო ჯგ* *სტუდიების ჯგ* *ტელე ცენტრალური სააპარატოს ჯგ* *რადიოს ტექნ უზრუნველყოფის ჯგ* *ენერგეტიკის სამუშაო ჯგ* *წარმოების უზრ. სამსახური* *წარმოების დაგეგმარების & კონტროლის ჯგ* *ოპერატორების ჯგ* *ხმის რეჯისორები ჯგ* *მემონტაჟეთა და გაფიკოსთა ჯგ* *ვიზაჟისა და სტილისტების ჯგ* *გამნათებლების ჯგ* *საეთერო ჯგ* *ცენტრალური საეთეროს ჯგ* *სამხატრო-სადადგმო ჯგ*				
მივლინება				
შესყიდვები				
ვებმაუწყებლობა და სტრიმინგი				
ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება)				
სატელიტის მომსახურება				
AZECOSMOS (1 არხი)				
AZECOSMOS (2 არხი)				
დღიური თანამგზავრი (კონცერტებისთვის და სხვა)				
TURKSAT				
AZECOSMOS (მოძრავი სატელიტ. სადგური სეგმეტნი)				
TURKSAT (მოძრავი სატელიტ. სადგური სეგმენტით)				
ტექნიკის და სხვა შესყიდვები				
ნათურები და დიფუზიური ფილტრები				
მესამე სართულის დაქსელვა				

ტელევიზორები ნიუს რუმისთვის				
საოფისე კომპიუტერი (დეკტ./ლეპტ.)				
სკანერი, პრინტერი და სხვა				
უწყვეტი კვების წყარო რემონტი				
მე5 და მე6 კატეგორიის კაბელების შეძენა				
კომპიუტერის სათადარიგო ნაწილები				
სტრიმის კომპი. ბარათები (აჯა)				
პროგრამულად არქივის გაერთიანება და ვებზე მიბმა				
რადიოს ტექნიკის შეძენა-მოდერნიზაცია				
ინტერნეტ რადიო				
ფოტოაპარატები				
პროგრამული უზრუმველყოფა ("კიბერნეტიჩესკი")				
ლიცენზირებული ანტივირუსული სისტემა				
სტუდიის დეკორაცია				
ვიზაჟის მასალა (კოსმ. პროდუქტი)				
სამკერვალოს აპარატურა/ინვენტარი				
ქსოვილის შესყიდვა				
სარესხი საშუალებები				
Xpression ლიცენზია				
სამუშაო იარაღები				
ელექტრო მოწყობილობები				
პიროტექნიკა				
რაციების შესყიდვა				
აუდიო ვიდეო კაბელების შეძენა				
რესივერების შეძენა				
ვიდეო აუდიო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები				
დისკ-რეკორდერი				
ბლექმეჯიქის კონვერტორი				
ვიდეომატარებლები				
ელემენტები				
ინტერნეტ მომსახურება ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხით				
ინტერნეტ მომსახურებები (ქუთაისი)				
FTP სერვერის კოლოკაცია				
სილქნეტი (სილქ ტივი)				
ნიუსის ფლეშ ბარათები ვიდეოკამერებისთვის				
livu სმარტფონების ლიცენზიის განახლება				
სატელეკომუნიკაციო მომსახურებები (ჭებში გატარება)				
ტექნიკის იჯარა				
პტს				
სატვირთო მანქანა				
უწყვეტი კვების წყარო				

სხვა ტექნიკური ხარჯი				
ადმინისტრაციისა და ფინანსების ბლოკი				
შრომის ანაზღაურება				
ბლოკის დირექტორის აპარატი *ფინანსური ანალიზისა და ფინანსური აღრიცხვის სამს* *ბუღალტრული აღრიცხვის ჯგუფი* *ფინანსური ანალიზის,ბიუჯეტირების და რეპორტინგის ჯგუფი* *შესყიდვების სამს* *ადმინისტრაცია* *საწყობი* *ტელეკომუნიკაციის ჯგ* *სარემონტო ჯგ* *ვენტილაციის ჯგ* *ავტოპარკი*				
წარმომადგენლობითი ხარჯი				
მივლინება				
ახალი შენობის დაპროექტება				
საკონსულტაციო-საინჟინრო მომსახურება				
რეგიონული ოფისის მშენებლობა (ბათუმი)				
კომუნალური ხარჯები				
ტრანსპორტი				
ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი				
საწვავ-საპოხი მასალები				
ავტოპარკის განახლება				
კავშირგაბმულობა				
შენობა-ნაგებობების დაცვა				
საფოსტო მომსახურება				
საოფისე მასალები				
საკაბელო ტელევიზია				
წიგნების აკინძვა				
ჯანმრთელობის დაზღვევა				
სარემონტო სამუშაოები				
გამაგრილებელი & სავენტილაციო სისტემები				
საიდენტიფიკაციო სამს. საშვები				
სატვირთო მანქანის დაქირავება, ტვირთის გადაზიდვა				
მუშახელი მომსახურება				
სამეურნეო საქონელი				
სამშენებლო მასალები				
საოფისე ელ.ტექნიკა				
საკონსულტაციო მომსახურება				
ჟურნალ-გაზეთები				

საარქივო მომსახურება				
თარგმნა, ნოტარიუსი				
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი				
გადასახდელები				
სახელმწიფო სესხი				
ევროპის მაუწყ. კავშირის (EBU) 2017 წლის საწევრო				
დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)				
ქონების გადასახადი				
მიწის გადასახადი				
მოგების გადასახადი				
ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) ვალი				
კრედიტორული დავალიანებები				
საავტორო უფლებები				
26 მაისის ხარჯი				
სხვა მიმდინარე დავალიანება				
ჯამი:				

დანართი#3

წლიური ბიუჯეტი პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით					
პრიორიტეტები	პირდაპირი ხარჯი	ირიბი ხარჯი	ზედნადები საოპერაციო ხარჯი	ზედნადები საინვესტიციო ხარჯი	**სულ ხარჯები**
პრიორიტეტი1					
გადაცემა1					
გადაცემა2					
გადაცემა3					
სულ პრიორიტეტი1					
პრიორიტეტი2					
გადაცემა1					
გადაცემა2					
გადაცემა3					
სულ პრიორიტეტი2					

დანართი#4

წლიური ბიუჯეტი გადაცემების წუთობრივი საპროგნოზო თვითღირებულების მიხედვით					
გადაცემები	ერთი წითის პირდ. ხარჯი	ერთი წითის ირიბი ხარჯი	ერთი წითის ზედნ. საოპერაციო ხარჯი	ერთი წითის ზედნ. საინვესტიციო ხარჯი	**სულ ერთი წითის**
გადაცემა1 გადაცემა2 გადაცემა3					
სულ გადაცემები					

დანართი#5

სახელფასო ბიუჯეტი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით			
ბლოკები და ქვედანაყოფები	2016 ფაქტიური	2017 ფაქტიური	2018 საპროგნოზო
ბლოკი1			
ქვედანაყობი1			
ქვედანაყობი2			
ქვედანაყობი3			
სულ ბლოკი1			
ბლოკი2			
ქვედანაყობი1			
ქვედანაყობი2			
ქვედანაყობი3			
სულ ბლოკი2			

დანართი#6

წლიური ბიუჯეტი სამაუწყებლო პლატფორმების ხარჯების მიხედვით					
პლატფორმები	პირდაპირი ხარჯი	ირიბი ხარჯი	ზედნადები საოპერაციო ხარჯი	ზედნადები საინვესტიციო ხარჯი	**სულ ხარჯები**
პლატფორმა1					
პლატფორმა2					
პლატფორმა3					
პლატფორმა4					
სულ სამაუწყ. პლატფორმები					

დანართი#7

საპროგნოზო კომერციული შემოსავლები		
შემოსავლები	**თვეები**	**სულ წელი**
სარეკლამო შემოსავლები		
იჯარიდან შემოსავალი		
ტექნიკის გაქირავება		
სხვადასხვა შემოსავალი		
ჯამი:	-	-

საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითადი შიდა ნორმატიული დოკუმენტები, მათი შექმნის ვადები, მექანიზმები და შესრულების კონტროლი

შესავალი

კანონი მაუწყებლობის შესახებ მაუწყებელს ავალდებულებს, იხელმძღვანელოს ორი მმართველობითი დოკუმენტით: პროგრამული პრიორიტეტებით და სამაუწყებლო პოლიტიკით.

წინამდებარე დებულება წარმოადგენს ზემოაღნიშნული დოკუმენტების შექმნის და განხორციელების კონტროლის სახელმძღვანელოს. დებულებაში განმარტებულია დოკუმენტების არსი, შემადგენელი ნაწილები, შემუშავების პროცედურები და კონტროლის მეთოდები.

პროგრამული პრიორიტეტების და სამაუწყებლო პოლიტიკის დოკუმენტებთან ერთად მაუწყებელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოკლევადიანი (ერთწლიანი) და გრძელვადიანი (სამწლიანი) საბიუჯეტო პაკეტებით, რომლებიც შემუშავდება აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით. საბიუჯეტო პაკეტების ფორმირების წესი განისაზღვრება ცალკე დოკუმენტით.

პროგრამული პრიორიტეტები

პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტი განსაზღვრავს მაუწყებლის განვითარების ძირითად/პრიორიტეტულ მიმართულებებს და იმ მიზნებს, რომლებზედაც მაუწყებელი უნდა იყოს ფოკუსირებული რათა მიაღწიოს ამ მიმართულებებში წინსვლას.

პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტი იქმნება/გადაისინჯება სამ წელიწადში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია პროგრამული პრიორიტეტების კორექტირება მათი მოქმედების ვადის განმავლობაში.

საზოგადოების მოთხოვნების, საჭიროებების, მედია გარემოს და მაუწყებლის მდგომარეობის შესწავლის და გაანალიზების საფუძველზე, სამეურვეო საბჭო სამ წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს/გადასინჯავს ზემოთ აღნიშნულ პრიორიტეტულ მიმართულებებსა და მიზნებს. ამ საქმიანობაში საბჭო თანამშრომლობს როგორც მენეჯმენტთან, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებთან და, საჭიროებისამებრ, სპეციალისტებთან.

პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს (თუმცა არ შემოიფარგლება) პრიორიტეტული მიზნების აღწერას სარედაქციო პოლიტიკაში, ასევე აუდიტორიის სეგმენტების, ჟანრების, თემატიკების და სამაუწყებლო/საკომუნიკაციო არხების მიხედვით.

მაუწყებლის განვითარების პრიორიტეტულ მიზნებთან ერთად პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს ჩარჩო კრიტერიუმებს, ინდიკატორებს, რომლებიც საქმიანობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

სამაუწყებლო პოლიტიკა (სტრატეგია)

სამაუწყებლო პოლიტიკის დოკუმენტი იქმნება პროგრამულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით და წარმოადგენს მაუწყებლის განვითარების გრძელვადიან (სამწლიან) სტრატეგიას. პროგრამული პრიორიტეტების მსგავსად ეს დოკუმენტიც სამ წელიწადში ერთხელ შემუშავდება. შესაძლებელია მისი პერიოდული კორექტირება/გადასინჯვა.

სამაუწყებლო პოლიტიკის დოკუმენტის/სტრატეგიის პროექტს შეიმუშავებს მაუწყებლის მენეჯმენტი და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.

სამაუწყებლო პოლიტიკა (სტრატეგია) განსაზღვრავს პროგრამულ პრიორიტეტებში ჩამოყალიბებული მიზნების მიღწევის გზებს. კერძოდ, სამაუწყებლო პოლიტიკის დოკუმენტში უნდა იყოს:

ა) პრიორიტეტული მიზნების დამაკონკრეტებელი ამოცანები.

ბ) ამ ამოცანების პრიორიტეტულ მიზნებთან შესაბამისობის დასაბუთება.

გ) პრიორიტეტული მიზნების და ამოცანების მიღწევის გზების აღწერა, რაც მოიცავს:

- საქმიანობის მოდელს;
- ღირებულებით შეთავაზებას;
- განსხვავებულობასა და უპირატესობას;
- პროცესებს;
- უნარებს, კომპეტენციებსა და რესურსებს;

დ) მიზნებისა და ამოცანების შესრულების საზომი ინდიკატორები;
ე) მართვითი სისტემები;

ყოველწლიური სამოქმედო გეგმა

სამწლიან სამაუწყებლო პოლიტიკაზე/სტრატეგიაზე დაყრდნობით მენეჯმენტი ყოველწლიურად შეიმუშავებს და საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. ერთწლიან სამოქმედო გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო შესაბამისი წლის ბიუჯეტთან ერთად.

ყოველწლიური სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგს:

1) ყოველწლიური სამოქმედო ამოცანების აღწერას;
2) დასაბუთებას, თუ როგორ შეესაბამება ყოველწლიური სამოქმედო ამოცანები პროგრამულ პრიორიტეტებში და სამაუწყებლო პოლიტიკაში განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს.
3) ყოველწლიური ამოცანების შესრულების აღწერას;
4) ყოველწლიური ამოცანების შესრულების ეტაპების აღწერას, კვარტლების მიხედვით.
5) ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას თან ახლავს შესაბამისი ბიუჯეტი;
6) ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას თან ახლავს მისი შესრულების ინდიკატორების ჩამონათვალი.

მმართველობითი დოკუმენტების მიღების ვადები და პროცედურები

არსებული პროგრამული პრიორიტეტების მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე მაუწყებელი იწყებს ახალი პროგრამული პრიორიტეტების და სამაუწყებლო პოლიტიკის (სტრატეგია) განმსაზღვრელ დოკუმენტზე მუშაობას. ამ დროისთვის მას უნდა ჰქონდეს შეგროვებული დიაგნოსტიკისთვის საჭირო ინფორმაცია (მაგ. კვლევები, რეიტინგები, სხვა).

სამუშაო პროცესის წარმართვის ეტაპები და ვადები:

თვეები 1-3:

საბჭო აანალიზებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას და ამ ანალიზზე დაყრდნობით შეიმუშავებს პროგრამული პრიორიტეტების პროექტს.

თვეები 4-6:

პროგრამული პრიორიტეტების პროექტთან დაკავშირებით საბჭო კონსულტაციებს მართავს მენეჯმენტთან, ექსპერტებთან და საზოგადოებასთან; ითვალისწინებს მათ მიერ გამოთქმულ არსებით მოსაზრებებს/შენიშვნებს და შეაქვს შესაბამისი ცვლილებები პროექტში; ამტკიცებს პროგრამული პრიორიტეტების საბოლოო ვარიანტს.

თვეები 7-9:

მაუწყებლის გენერალური დირექტორი ქმნის (და თავად ხელმძღვანელობს) სამუშაო ჯგუფს, რომელიც შეიმუშავებს სამაუწყებლო პოლიტიკის დოკუმენტის პროექტს.

თვეები 10-12:

სამაუწყებლო პოლიტიკის პროექტი განიხილება სამეურვეო საბჭოსთან ერთად; მენეჯმენტი ითვალისწინებს განხილვის დროს გამოთქმულ არსებით მოსაზრებებს/შენიშვნებს და შეაქვს

შესაბამისი ცვლილებები პროექტში; პროექტის საფუძველზე შემუშავდება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა. ორივე დოკუმენტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო შესაბამის ბიუჯეტთან ერთად.

მმართველობითი დოკუმენტების აღსრულების კონტროლის მექანიზმები

წლიური ანგარიში: გენერალური დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს არაუგვიანეს მომდევნო წლის მარტისა.

წლიურ ანგარიშს თან ახლავს (შეიძლება ახლდეს) გენერალური დირექტორის წინადადებები სამოქმედო გეგმაში/სტრატეგიაში და/ან პროგრამულ პრიორიტეტებში შესატანი ცვლილებების/შესწორებების შესახებ.

კვარტალური ანგარიში: კვარტალური ანგარიშები წარედგინება სამეურვეო საბჭოს კანონით დადგენილ ვადებში.

წლიური და კვარტალური ანგარიშების ფორმატი და სტრუქტურა განისაზღვრება ცალკე წესით, რომელსაც შეიმუშავებს სტრატეგიული სამსახური და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.

ინფორმაციული კომუნიკაცია: სამეურვეო საბჭო რეგულარულად იღებს, საინფორმაციო ბიულეტენის სახით, ინფორმაციას მაუწყებლის ყველა მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ. ინფორმაციის მიწოდების სიხშირე და ფორმატი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს სტრატეგიული სამსახური და ამტკიცებს საბჭო.